ო ქ მ ი N 4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 2022 წლის 23 ივნისი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.აკაკი ხურცილავა

4.აკაკი მალანია

5.ბადრი რიჟამაძე

6.ჯანსუღ ჯიშკარიანი

7.მოგელი ხუხია

8.გურიელ ქარდავა

9.მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

მოწვევით: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

რ. წულაია - შპს „ხობის დასუფთავება განათება“

ზ. ნარსია - შპს „ხობის წყალმომარაგება“.

ბიუროს წევრები: ლ. ქავთარაძე -ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გ. ქაჯაია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ლ. ლიპარტია - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მედეა თათარიშვილი - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, დოდო გაბუნია - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, სადაც ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე და განხორციელებულ პროექტებზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების" გაწეული სამუშაოები და განხორციელებული პროექტები. ასევე გააცნო შპს „ხობი დასუფთავება და განათება" მიერ გაწეული წლიური ანგარიშის შინაარსი. (იხილეთ დანართი N 1)

კომისიის წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა დასუფთავების სამსახურის საქმიანობას, რაზედაც გაიცა შესაბამისი ახსნა - განმარტებები.

კომისიის წევრების მხრიდან შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს და მოწვეულ პირებს, გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2021 წელს შპს „დასუფთავება და განათების" საქმიანობის შემოწმების ჩატარების აქტის შინაარსი. (იხილეთ დანართი N 2)

რაზედაც სამსახურის უფროსმა გააკეთა შესაბამისი ახსნა - განმარტებები.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით ზემოთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შეფასების თაობაზე.

შეფასების შედეგები:

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 8

დადებითი - 0.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2022 წლის 23 ივნისი

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომაზე
დამსწრე წევრთა რეგისტრაცია

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვლადიმერ ქანთარია	ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	
2	ფრიდონ კუკავა	კომისიის წევრი	
3	ბექა ხარბედია	კომისიის წევრი	
4	აკაკი ხურცილავა	კომისიის წევრი	
5	აკაკი მალანია	კომისიის წევრი	
6	ბადრი რიჟამაძე	კომისიის წევრი	
7	ჯანსუღ ჯიშკარიანი	კომისიის წევრი	
8	მოგელი ხუხია	კომისიის წევრი	
9	გურიელ ქარდავა	კომისიის წევრი	
10	მალხაზი იოსავა	კომისიის წევრი	

ოქმი №4